1960 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა ქარხნის მუშაკებთან ერთად პირველად საბჭოთა კავშირში წარმატებით ჩაა-ტარა საცდელი სამუშაოები დახურული ლუმელებიდან ფეროშენადნობთა მისაღებად. ქარხანაში ჩატარებული ცდების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საფუძ-ვლად დაედება ჩვენი ქვეყნის ფეროშენადნობთა ქარ-ხნებში დახურული ლუმელების დარბოქტებასა და ავე-ბას, რაც გათავისუფლებულია მიმდინარე შეიღწელების პროგრამით. დახურულ ლუმელებში ფეროშენადნობთა წარმოება შესაძლებელს გახდის, დაჭერილი და გამოყე-ნებულ იქნეს ლუმელიდან წარმოშობილი აირები, რო-გორც ერთ-ერთი ნედლეული მრავალი ქიმიური პრო-დუქტის მისაღებად. ქარხანაში ჩატარდა წინასწარი ცდები მეტალურგიული კოქსის ნაცვლად ტორფის კოქ-



მეტალურგია კლუბი

სის გამოყენების შესახებ. ჩატარდა საცდელი დნობები ტროფის კოქსის გამოყენებით ნახშირადიანი ფერომაგნეზისა და სილიკომანგანუმის შენადნობთა მისაღებად.

პირველად საბჭოთა კავშირში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შემუშავდა და დაიწერა საქარხნო მასშტაბით აზოტის ლითონურ-მანგანუმის მიღების ტექნოლოგია.

პირველ საამქროში დადგმული ლუმენუმში ელექტროდების მექანიზებულად გადაშვებით მოწყობილობა, დანერგულია გადასამუშავებელი წილების მინქანური ჩამოსხმა, მეორე საამქროს ერთ-ერთ ლუმენზე დაიდგა ელექტროლუმენის სიმძლავრის გამოსათვლელი მათემატიკური მანქანა. გადაწყდა მეტალურგიაში ჭიათურის ღარიბი მადნების გამოყენების პრობლემა. შექმნილია ელექტროლუმენებისათვის კაზმის თანაბრად მიმოყვანილი მექანიზმის სრულიად ახალი კონსტრუქცია. ქარხანაში აიგო კირის გამოსაწვავი საამქრო, რომლის სადღეამისო მწარმოებლობა 150 ტ-ს აღემატება. აქ მოქმედებს კირის გამოსაწვავი ოთხი ლუმენი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქარხანაში მრავალი კარგი ღონისძიება განხორციელდა. პირველ და მეორე საამქროში დაიწერა ლითონის ნაწილობრივი მექანიკური ჩამოსხმა. ელექტროხილერ ამწეზე დაიდგა დამატებითი მოწყობილობა, რამაც უზრუნველყო დახურულ ვაკონებში ლითონების მექანიკური ჩატვირთვა. მეტალურგმა ნოვატორებმა მნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენეს ფერადი ლითონების ეკონომიურად ხარკვის

სათვის. შემუშავეს წინადადება ლუმენის სერიალური ების მუდმივი ყალიბის შექმნის შესახებ, რამაც უზრუნველყო ტ ფერადი ლითონები დაიწერა დაიწერა აქ 67 რაციონალიზატორული წინადადება დაიწერა, რითაც ქარხანამ მიიღო 103 ათასი მანეთის ეკონომია.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კულტურულ-საყოფაღმავრობო პრობლემების გაუმჯობესებას. მათთვის ზესტაფონში აშენებულია სამ და ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები (ფართობი 22448 კვ. მ). მეტალურგებისათვის აგებულია საზამთრო და საზაფხულო კლუბი, ჩამოყალიბებულია თვითშემოქმედებითი წრეები. ქარხნის მახლობლად გახსნილია საშუალო სკოლა საწარმოო სწავლებით, სახელისო სასწავლებელი, საზაფხუო ბაღი და ბაგა; მოწყობილია სასპორტო მოედნები, ფეხბურთის სტადიონი; მუშაობს საავადმყოფო, ამბულატორია და ფთიზიქი.

1959 წლიდან ფეროშენადნობთა ქარხანასთან გაიხსნა საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზესტაფონის ფილიალი, რომელსაც აქვს მეტალურგიული, ენერგეტიკული, საავტომობილო და ტრანსპორტის ფაკულტეტები. აქ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 200-ზე მეტი ახალგაზრდა მეტალურგი ღებულობს უმაღლეს ტექნიკურ განათლებას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წინაშე 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმით დასახულია ფრიალ მნიშვნელოვანი ამოცანები. ქარხნის რეკონსტრუქციისა და გაფართოების საფუძველზე გაიზრდება პროდუქციის გამოშვება და შეიღწევის ბოლოს, 1965 წლისათვის, ეს ზრდა 1958 წელთან შედარებით მიაღწევს 120%-ს. პროდუქციის გამოშვების დიდი ზრდა მნიშვნელოვანდ შეამცირებს თვითღირებულებას და გაზარდის დაგროვებას. გაუმჯობესდა აჯამეთის ქალცედონისა და კირქვების სამუშაოების მექანიზაცია. მნიშვნელოვანდ ფართოვდება მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და სხვ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ერთ-ერთი დიდი სამრეწველო საწარმოა საქართველოში. იგი უმაღლესი ხარისხის ფეროშენადნობებით ამარაგებს საბჭოთა კავშირის ბევრ მეტალურგიულ ქარხანას და ამჟამად დიდი რაოდენობით იგზავნება საზღვარგარეთ.



თანამედროვე გათვალისწინებული ზედაპირი და ამინდის წინასწარმეტყველება

ლოცნაიკი ს. პენიძე

ამინდის წინასწარმეტყველების მიზნით ატმოსფეროში არსებული პროცესების შესწავლა შეადგენს სინოპტიკური მეტეოროლოგიის ძირითად საფასს. 1920-1925 წწ. ამინდის გამოკვლევა და წინასწარმეტყველება (პროგნოზირება) დამყარებული იყო ვიწრო ემპირიულ მეთოდზე; ხდებოდა დედამიწის ზედაპირზე არსებული ბარიული ველის* ერთობრივი გამოკვლევა. სინოპტიკური პროგნოზის ამოცანის გადაწყვეტა გაგებული ჰქონდათ როგორც მხოლოდ ბარიული ველის ცვლილების პროგნოზის ამოხსნა (ბარიული ველს ღებულობდნენ ამინდის პირობების მთლიანად განმარტვით ფაქტორად). ამ მეთოდით შეუძლებელი იყო ამინდის თითოეული მოცემული მდგომარეობისათვის ინდივიდუალური თავისებურებათა ახსნა.

საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგად უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გამდიდრდა ჩვენი ცოდნა ატმოსფეროს პროცესებზე. დაახლოებით 1925-1930 წლებიდან სინოპტიკური ანალიზი მართლ დედამიწის ზედაპირზე არსებული ბარიული ველის გამოკვლევით კი არ ხდება, არამედ ის დამყარებულია აგრეთვე ჰაერის მასების თავისებულებისა და მოძრაობების, მათ შორის არსებული გამოყოფი ზედაპირების (ატმოსფერული ფორნტების) და ამ ზედაპირების გასწვრივ ჰაერის მასების ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოშობილი ტალღური და გრივალური აღრევების გამოკვლევებზე.

თუმცა სინოპტიკური მეთოდი დამაკმაყოფილებლად წყვეტს ამინდის პროგნოზის პრობლემას, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მზარდ სახალხო მეურნეობას ამინდის ზუსტი პროგნოზირებით. რით აიხსნება ეს?

მთავარი მიზეზი, სხვა მეორეხარისხოვან მიზეზებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია მეტეოროლოგიით და აეროლოგიური პუნქტების ახალი გამოკვლევებით, ატმოსფერული პროცესების კანონზომიერებათა ჭერ კიდევ არასაკმარისი ცოდნა, რაც იწვევს სუბიექტურ შეცდომებს.

სინოპტიკური მეტეოროლოგია დღითიდღე მდიდრდება ატმოსფერული პროცესების ახალი გამოკვლევებით ღინამიკისა და თერმოდინამიკის კანონების დახვეწებით.

საბჭოთა კავშირში ამინდის პროგნოზის სინოპტიკური მეთოდთან ერთად 1940 წლიდან არსებობს ამინდის წინასწარ გამოთვლის ჰიდროდინამიკური მეთოდი.

ატმოსფეროს მოძრაობის აღმნიშვნელი განტოლებების ამოხსნით, ამინდის პროგნოზის მათემატიკური მეთოდის მისაღებად მიმართავენ ატმოსფეროს მოძრაობის ისეთი თეორიული მოდელის აგებას, რომლის ამოხსნა შეესაბამებოდა თანამედროვე მათემატიკური აპარატით.

ატმოსფეროს მოძრაობის ასეთი თეორიული მოდელის აგება მეტად ძნელია, ვინაიდან მისგან უნდა მივიღოთ ისეთი შედეგი, რომელიც უპასუხებს ატმოსფეროში არსებულ რეალურ პროცესებს. აქ საკმარისა შემდეგი სიძნელეების დაძლევა: ჰიდროდინამიკისა და თერმოდინამიკის განტოლებებიდან მიღებული უნდა იქნეს ატმოსფეროს რეალური პროცესების აღმწერი განტოლებები; მიღებული განტოლებები უნდა ამოიხსნას თანამედროვე მათემატიკური აპარატით; საწყისი მონაცემებიდან უნდა შეირჩეს ისეთები, რომელთა ვაზომვა შეიძლებოდა უშუალოდ და ამასთან საკმარისი სიზუსტით; მიღებული შედეგები კი არ უნდა იყოს დაკავშირებული გამოთვლის დიდ სირთულესთან.

პირველად მათემატიკისა და რიზარდისონის ცეცხლად ჰიდროდინამიკისა და თერმოდინამიკის განტოლებების ამოხსნით მიიღო ამინდის პროგნოზის მათემატიკური მეთოდი. რადგან ამ საკითხის გადაჭრა დაკავშირებული იყო ზემოთ აღსანიშნულ სიძნელეების გადალახვასთან, რიზარდისონის მიერ მიღებულმა შედეგმა პრაქტიკაში ვერ პოვა გამოყენება.

ეს სიძნელეები პირველად გადალახულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. კიბელის მიერ (1940 წ.), რომელმაც შეიმუშავა ტემპერატურისა და წნევის ერთი დღე-ღამის ხანგრძლივობით წინასწარ გამოთვლის მათემატიკური მეთოდი. ამოცანის გადაწყვეტა მიღებულ იქნა ორი მიახლოებით.

პირველი მიახლოებითი ფორმულებით დედამიწის ზედაპირზე წნევისა და ტემპერატურის პროგნოზების საკითხი წყდება განსაზღვრული ხაზის გასწვრივ წნევისა და ტემპერატურის საწყისი ველების უცვლელად გადატანით საპროგნოზო ვადის მთელ პერიოდში, რაც დაკავშირებული არაა გამოთვლის სირთულესთან.

მეორე მიახლოებითი საპროგნოზო ფორმულების გამოყენება სინოპტიკურ პრაქტიკაში დაკავშირებულია შედარებით რთულ გამოთვლებთან, მაგალითად, მეორე მიახლოებით ატმოსფერული წნევის წინასწარ გამოთვა-

* ჰაერის წნევის განაწილება დედამიწის ზედაპირზე.

ლის მიზნით საპროგნოზო ვადას ჰყოფენ რიგ შუალედებად — ბიჯებად. საპროგნოზო ვადის ასეთი დაყოფა დაკავშირებულია შემდეგ გარემოებათთან: თუ მოცემული პუნქტისათვის დროის რომელიმე შუალედში განსაზღვრულია წნევის ცვლილების სიჩქარე, ჩვენ არა ვართ უზრუნველყოფილი იმით, რომ ის დარჩება მუდმივი მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, დღე-ღამეში). როგორც ცნობილია, რომელიმე პუნქტში წნევის ცვლილების სიჩქარე არასოდეს არაა მუდმივი დღე-ღამის განმავლობაში — წნევის ზრდა შეიძლება შეიცვალოს მისი დაცემით და პირიქით. ეს ყველაფერი ლაბარაკობს იმაზე, რომ დღე-ღამის ხანგრძლივობით წნევის წინასწარ გამოთვლა შემდეგნაირად უნდა ვაწარმოოთ: საპროგნოზო დროის შუალედი დავეყოთ რამდენიმე მცირე ინტერვალად — ბიჯებად, რომლის განმავლობაშიც წნევის ცვლილების სიჩქარე საშუალოდ სიზუსტით შეიძლება მუდმივად მივიღოთ.

თუ ვისარგებლებთ საწყის მომენტში იმ სიდიდეების მონაცემებით, რომლებზედაც დამოკიდებულია წნევის ცვლილების სიჩქარის განსაზღვრა (მაგალითად, ტემპერატურის, ქარის სიჩქარის და სხვა სიდიდეების განმარტებაზე), შეიძლება გამოვივალოთ საწყის მომენტში წნევის ცვლილების სიჩქარე, ე. ი. თვით წნევა პირველი ბიჯის ბოლის. დროით მეორე ბიჯისათვის წნევის ცვლილების სიჩქარის გამოსათვლელად საჭიროა ვიცოდეთ ამ მომენტში არა მარტო წნევის სიდიდის, არამედ იმ სიდიდეთა მნიშვნელობებიც, რომლებზედაც დამოკიდებულია გამოსათვლელი ელემენტი. არც ეს სიდიდეები ათავიანთა საწყისი მნიშვნელობების ტოლი. ისინი განიცდიან ცვლილებებს, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ამრიგად, დროის ბიჯიდან ბიჯამდე წნევის წინასწარ გამოთვლისას საჭიროა პარალელურად წინასწარ ჩქნეს გამოთვლილი ის მეტეოროლოგიური ელემენტებიც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობას იღებს წნევის წინასწარ გამოთვლის ფორმულაში.

ამრიგად, ერთი დღე-ღამისათვის წნევის პროგნოზის მისაღებად საჭიროა ავიღოთ დროის ბიჯების დიდი რიცხვი (რამდენიმე ათეული). ეს უკანასკნელი იმას გვიჩვენებს, რომ მრავალჯერ უნდა გამოითვალოს წნევის მნიშვნელობები და ამასთან პუნქტების საკმარისად დიდი რიცხვებისათვის (რამდენიმე ასეული), რომლებიც განაწილებულია იმ ტერიტორიაზე, რომლისათვისაც უნდა იყოს მიცემული წნევის პროგნოზი.

როგორც ჩანს, აქ მოყვანილი ამოცანის ყველა გამოთვლა დაეყვანილა განსაზღვრული, კანონზომიერი, თანმიმდევრული, ერთნაირი ტიპის არითმეტიკული მოქმედებების შესრულებამდე. რომელიმე ბიჯზე შესასრულებელი მოქმედებები აბსოლუტურად იგივეა, რაც ნებისმიერ სხვა ბიჯზე, გამოთვლის ეს ერთბაშეობა

იმის საშუალებას იძლევა, რომ მოცემული ამოცანა ამოიხსნას მანქანის დახმარებით.

ამ უკანასკნელ დრომდე გამოთვლის ტექნიკის დონე საშუალებას არ იძლეოდა საპროგნოზო ვადის დავით ასეთი დიდი მოცულობის გამოთვლა ჩაუტარებლად. ეს გარემოება ატმოსფეროს ფიზიკისგან აიძულებდა მეცნიერთა გამოთვლის გრაფიკული ხერხისათვის, რომლის შემწეობით მიღებული შედეგები იძლეოდა მხოლოდ პირველი მიახლოების სიზუსტით ამინდის პროგნოზის გამართლებას, რაც არ აღემატება ჩვეულებრივი სინოტიკური მეთოდით მიღებულ შედეგს.

ამინდის პროგნოზის განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპია გამოსათვლელი მანქანების გამოყენება, რაც პირველად საბჭოთა კავშირში განხორციელდა ი. კიბელისა და ე. ბლინოვას ხელმძღვანელობით. მათ მიერ БЭМ და „სტრელას“ ტიპის მანქანების გამოყენების მიზნით დამუშავდა მთელი რიგი საპროგნოზო სქემები.

ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში (ლენინგრადი) პროფ. მ. იულინის ხელმძღვანელობით, პროგნოზთა ცენტრალურ ინსტიტუტში (მოსკოვი) ს. მაშკოვიჩის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელ წლებში ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ზოგიერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც წარმოებს თანამედროვე გამოსათვლელი მანქანების (БЭМ, „სტრელა“, „ურალი“ და სხვ.) გამოყენება ამინდის ზოგიერთი ელემენტების პროგნოზირების საქმეში.

მას შემდეგ, რაც რეალური გახდა ჰიდროდინამიკური მეთოდებით მეტეოროლოგიური ელემენტების ოპერატიული პროგნოზის შედგენის შესაძლებლობა, საზოგადოებრივად ჩქარამოქმედ ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანებს იყენებენ ამინდის ელემენტების პროგნოზირების მიზნით.

დინამიკური მეტეოროლოგიის ეს ახალი მიმართულება — ჰიდროდინამიკისა და თერმოდინამიკის განტოლებათა ამოხსნის საღებავებზე ამინდის ელემენტების წინასწარ გამოთვლის მეთოდი — ჩქარი ნაბიჯით ვითარდება. უნდა ვიფიქროთ, რომ მოკლე ხანში იგი მოწინავე ადგილზე დაიკავებს ამინდის პროგნოზირებაში არსებულ ემპირიულ მეთოდებთან შედარებით.

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დიდ მუშაობას აწარმოებს ჰიდროდინამიკური მეთოდით ამინდის ზოგიერთი ელემენტების წინასწარ გამოსათვლელად, რისთვისაც ქმედითად იყენებს საჭარაველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლილი ცენტრის თანამედროვე ჩქარამოქმედ გამოსათვლელ მანქანებს.



საქართველო

მიოცენური

ქრონიკა

მ. ძეგლია

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

წინა წერილში* ჩვენ გავეცანით იმ გეოლოგიურ მოვლენებს, რომლებიც მომხდარა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში დედამიწის განვითარების ისტორიის პალეოგენურ დროში, დაახლოებით 40 მლნ წლის წინათ. რასაკვირველია, ამით არ შეწყვეტილა საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური განვითარების ისტორია. გეოლოგიური მოვლენები გრძელდებოდა პალეოგენის მომყოლ—ნეოგენურ დროშიც და გრძელდება ამაჟამადაც.

ნეოგენური პერიოდის პირველ ნახევარს მიოცენი ეწოდება (იგი გრძელდებოდა 16 მლნ წელს), ხოლო მეორე ნახევარს — პლიოცენი (გრძელდებოდა 11 მლნ წელს).

საქართველოში მიოცენური დრო, ოლიგოცენითაა შედარებით, ზღვის მიერ დაკავებული ფართობის შემცირებით იწყება. მიოცენის დასაწყისში ზღვიური აუზი შედარებით თხელწყლიანი იყო და მასში მეტწილად ქვიშები გროვდებოდა, ხოლო მიოცენის განმავლობაში მოახდარი მიწის ქერქის მოძრაობების გამო არაერთხელ შეცვლილა საქართველოს, და საერთოდ კავკასიის, გეოგრაფიული სახე. ამასთან დაკავშირებით აუზებში წარმოიქმნებოდა ხოლმე მრავალფეროვანი, საკმაოდ მძლავრი 4500 მ-მდე საერთო სისქის ძირითადად ქვიშებით, ქვიშაქვებით, თიხებით, მერგელებითა და კონგლომერატებით წარმოდგენილი ქანები.

ყველა ეს ქანი ილექებოდა აუზებში შემდეგი თანამდევრობით: ქვედა მიოცენი, შუა მიოცენი და ზედა მიოცენი. მიოცენისა და პლიოცენის საზღვარზე საკმაოდ თავისებური — მეტურთი შრეებია განლაგებული. მათი

ასაკი საბოლოოდ დადგენილი არაა. ზოგი მკვლევარი მას მერგელურ აუზთა ენებს, ზოგი კი — პლიოცენს. ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი, ე. ი. მეოთხის პლიოცენს მივაკუთვნით და იგი პლიოცენური ნალექების აღწერის დროს ცალკე წერილში განვიხილოთ. აქ კი გავეცნით მიოცენური დროის განმავლობაში მომხდარ საინტერესო მოვლენებს.

ქვედა მიოცენური დროის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე აუზში დალექილი ქვიშა-

ქვები და ქვიშები ამჟამად გამოშვლებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, ლაჩხუბში, ქართლსა და სხვა ადგილებში. ნალექები ბევრ უბანზე შეიცავს საკმაოდ კარგად შენახულ მტკნარი წყლის ფაუნის ნაშთებს, რაც აუზში ცხოვრების პირობების ხელსაყრლობაზე მიუთითებს. ამ დროს საქართველოს ტერიტორიის მეტი წილი ზღვის ზევით იყო ამოწეული; ასეთი უბნები იყო ძირულას, ვანის, ცხაკაის, ცაიშის, ჩოხატაურის, ბურცის (აფხაზეთში) მიდამოები, თელავის ქედი, მთიანი კახეთის ღიდი ნაწილი და ა. შ. ქუთაისი-ამბროლაურის ზოლში მდებარე ნახევარკუნძული საკმაოდ ფართო ტერიტორიას იკავებს, ხოლო ჭიათურის მიდამოებში ზედაპირული წყლების მიერ მთის ქანების ნაშალი მასალის დიდძალი რაოდენობით ჩამოტანის გამო იგი ძალზე გათხელებულია; ასევე მნიშვნელოვან გათხელებას განიცდის მესხეთში მდებარე აუზიც. მაგრამ, უნდა ვიყარადლოთ, რომ ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ აქვს სრულტევის სახით ეკავშირი გურიისა და ქართლის ცალკეულ უბნებზე მდებარე აუზებთან.

ქვედა მიოცენის ქვიშიან-ქვიშაქვანი ნალექებსა (საერთო სისქე 400 მ-მდე) წარმოქმნას საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე მოჰყვა მიწის ქერქის უპრეცედენტო მოძრაობა, დიდი უბნების ჩაძირვა. მის მეორე ნახევარში შედარებით გაღრმავებულ აუზში საქართველოს ბევრ უბანზე თითქმის ყველგან ილექება შავი, მეტწილად არაჰაერონატული თიხები (ისინი არ შეიცავენ ნამპარხების ნაშთებს), რომელთა საერთო სისქე რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევს.

ამ ნალექების შესწავლა მივივითითებს, რომ ამ თიხების დალექვის დროს აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები კვლავ ისეთივე გამხდარა, როგორიც იყო მაიკოპური თიხების დალექვის დროს. ეს გვაძლევს უფლებას ვიყარადლოთ, რომ ზედა მაიკოპიან შუა მიოცენური შრეების დალექვის დასაწყისამდე ბევრჯერ ღვილია ჰქონია მიწის ქერქის ძლიერ რყევებს, რომლებიც მეტწილად ეპირაგენეტული მოძრაობების სახით ვლინდებოდა.

* იხ. „მეცნიერება და ტექნიკა“ № 10, 1960 წ.





ასეთი ნივარებიანი მოლუსკები ცხოვრობდა (ბინადრობდა) საქართველოში მიოცენურ დროს არსებულ ზღვიურ აუზებში

შემდეგ, ჩოკრაქული საუკუნის დადგომის წინ, ზოგიერთი უბანი, როგორიცაა ადგილები სოფ. ნორიოსთან (სამგორი), ლეჩხუმი, ჭვალთან, ძველ აბასთუმანთან, ფახულთან და სხვ., ოდნავ კვლავ ჩაღრმავებულა და მასში დაღვქილა ე. წ. თარხსული ასაკის თიხები მდიდარი ზღვიური, ორსაგდელიანების ნაშთებით; სხვა უბნებზე, მეტწილად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აუზი კიდევ უფრო გათხლებულა და მასში თანმიმდევრობით დაღვქილა ჯერ ჩოკრაქული, შემდეგ — კარაგანული და ბოლოს — კონკური ასაკის (შუა მიოცენის), ძირითადად მუქი ყავისფერი ქვიშაქვები, ზოგიერთი უბანზე კონკლომენტების თიხებისა და მერგელების ფენებით.

საქართველოს შუა მიოცენურ, ძალზე გათხლებულ აუზში გამოიყოფოდა კორდილიერები და მრავალი დიდი კენჭული — კახეთში, ციშთან, ძირულასთან, ვანი-ჩოხატაურის უბნებზე, ბურცთან, აბედათან და სხვ., — რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ასაკის ვულკანოგენური ქანებისა და კირქვებისაგან. ამ ფართო აუზში სურამი-ძირულას უბანზე მდებარეობდა დიდი ხმელეთი, რომლის თანდათან მალლა ამოწვევა ჯერ კიდევ ეოცენურ დროში იყო დაწყებული. ამჟამად ეს ხმელეთი ძალზე გადიდებული (გაზრდილი) სახით გვევლინება. დასავლეთ საქართველოს შუა მიოცენური აუზი მის ჩრდილო ნაწილში მდებარე განიერი სრუტით უშუალოდ უკავშირდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს შუა მიოცენურ აუზს; საქართველოს ამ ორივე უბანზე და აქ არსებულ ხმელეთებზე კარგი პირობები იყო ორგანული სამყაროს განვითარებისათვის. წინა საუკუნეებში საქართველოდან ემიგრირებული ორგანიზმები შუა მიოცენში კვლავ ბრუნდებოდა საქმად შეცვლილი სახით, შუა მიოცენურ

აუზში ისინი შემოდიან მოსაზღვრე ადგილებიდან, რადგანაც აქ არსებული შუა მიოცენური აუზი უფრო ხშირად წილი იყო საერთოდ კავკასიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთში გავრცელებული თეტისის ზღვისა. ამ ზღვაში მცხოვრები, შემდეგ გადაშენებული, მის ფსკერზე დაღვქილი, შუა მიოცენური ორგანიზმების ნაშთები განამარხებულია სახით ამჟამად ბლომად გვხვდება საქართველოს ბევრ უბანზე, იქ, სადაც მიოცენური ნალექებია გავრცელებული.

შუა მიოცენურ დროში, დაახლოებით 15 მლნ წლის წინათ, მცხოვრები ძუძუმწოვრების განამარხებული ნაშთები 1954 წელს იპოვეს სამხრეთ ოსეთში, ზნაურის რაიონის სოფ. არკნეთში. ეს განამარხებული ნაშთებს (გაქვებებული ძელონი, ქალა, ჩლიქები, ძალები და სხვ.) შესწავლილი აქვს პროფ. ლ. გაბუნისა, რომელმაც მასში გამოიკნო ძალისმავარი სიმოციონი, სამთითა — ცხე-



მიოცენის დროს ევრაზიის კონტინენტზე მოხიზნარე დიდი ჰერცოგინიანი მასტოდონტი (ზედა ნაბ.) და ლინოთერიუმ (ქვედა ნაბ.)

ნისმაგვარი ჰიპარიონი, არქაული ირმები, ჭეირნები, გა-
დაშენებული ანტილოპი, ტრაგოცერუსი და სხვ. აქედან
წყვილნილიქოსანთა ორი საინტერესო წარმომადგენელი
— ირმისმაგვარი ლიკროცერუსი და ძროხისმაგვარი
ფრონტერაგუსი — ლიტერატურაში ჭერ უძნობი სახე-
ები აღმოჩნდა და მათ მეცნიერებმა „სალომეს ლიკრო-
ცერუსი“ და „ფრონტერაგუს არკნეოიენზისი“ უწოდეს.

ამ მონათვართა საფუძველზე დადგენილია, რომ იმ
დროს საქართველოს ამ უბანზე ცხელი და ტენიანი ჰავა
იყო, ხოლო ზღვასთან მომიჯნავე უბნები ტყიანი ზოლ-
ებით იყო დაფარული.

კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩენა მოახდინეს სა-
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიო-
ლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ლ. გაბუნია, ა.
ვეკუა) მდ. ყუბანის ნაპირს, ჩრდილო კავკასიაში, აქ.
შუა მიოცენური დროის ზღვიურ ქვიშებში, რომლებიც
კავკასიის ამ უბანზე დაახლოებით 15 მლნ წლის წინათ
ილექებოდა, 1958 წლის ზაფხულში იპოვეს უზარმაზარი
რქოსანი ღორის გაქვავებული თავის ქალა. გამოირკვა,
რომ ეს დღემდე ნაპოვნ არც ერთ ნამარხ ღორისმაგვარს
არ ეკუთვნის, რადგანაც ყველა ისინი ურქონი იყვნენ.
ამიტომ აშკარაა, რომ ყუბანში ნაპოვნი რქოსანი ღორის
ქალა ღორების დღემდე უცნობი, თავისებურ ახალ ჯგუფს
უნდა ეკუთვნოდეს და მას პროფ. ლ. გაბუნიამ ყუბანო-
ქერუსი უწოდა.

შუა მიოცენური დროის დასაწყისი; ე. წ. ჩოკრა-
კული დროის, კავკასიის ლანდშაფტის შესახებ საინტე-
რესო ცნობები მოცემული აქვს აგრეთვე პროფ. ლ. მა-
რუაშვილს. მისი მასალების მიხედვით, სურამი-ძირულას
უბანზე მდებარე კუნძული, აჭარა-თრიალეთის ზოლში
მდებარე ხმელეთი და კავკასიონის მთავარი ქედის ორი-
ვე კალთა დაფარული იყო მარადმწვანე ტროპიკული
ტყით.

კავკასიონის ქედის ცენტრალურ უბნებზე გავრე-
ლებული იყო ძველ ალპური სარტყლისათვის დამახასია-
თებელი ტყე, რომელშიც გაბატონებული იყო მარა-
მწვანე ბუჩქები. ამის მიხედვით ვარაუდობენ, რომ მშინ
უკვე არსებობდა მცენარეულობის ვერტიკალური ზონა-
ლობა.

შუა მიოცენის მიწურულს ძლიერი ინტენსივობით
გამოვლინდა მიწის ქეჩქის თანდათან მაღლა ამოწევა,
რამაც კიდევ უფრო გააღიდა კუნძულების მიერ დაკე-
ვებული ადგილების ფართობი. შუა მიოცენის ბოლოს
კვლავ იწყება ინტენსიური ჩაძირვები, ძლიერდება ზღვას
შემოტევა და სარმატული საუკუნის დასაწყისში (აქედან
იწყება ზედა მიოცენური დრო) თითქმის მთლიანად
ზღვით იფარება საქართველოს ტერიტორია; მოზრდილი
კუნძულები რჩება მხოლოდ კავკასიონის ქედის ცენტ-
რალურ ნაწილში, აჭარა-თრიალეთის ზოლში და სურამ-
ძირულას მიდამოებში. გამოირჩეული არაა ცალკეული
ბატარა კუნძულების არსებობა ზოგიერთ სხვა უბანშიც,



რქოსანი ღორი ყუბანიქერუსი, რომელიც ცხოვრობდა
კავკასიაში 15 მლნ წლის წინათ

მაგალითად, ცაოშთან, ბურტანს, წითელწყაროსთან და
სხვ.

საქართველოს სარმატულ ზღვაში დაღუპილი ქან-
ები მდიდარია განამარხებული ორგანული ნაშთებით. მა-
თი შესწავლის საფუძველზე სარმატულ დროში დაღუპი-
ლი 3 ათას მ-მდე სისქის წყება სამ დიდ ნაწილადაა და-
ყოფილი: ქვედა, შუა და ზედა ნაწილებად. მათი ზედა-
პირული ნარჩენები ამჟამად ფართოდაა გავრცელებუ-
ლი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში
და ნავთობპირების საბადოების ძებნა-ძიებასთან დაკე-
შირებით ზოგ უბანზე (ნავალითად, სამხრეთ კახეთსა და
სამეგრელოში) სკამოდ კარგადაა შესწავლილი. გამოი-
კვეთილია, რომ სარმატული დროის აუზის შედარებით
ღრმა უბნები იყო გურიამი, ცენტრალურ სამეგრელოში
და სამხრეთ კახეთში. ყველა ამ უბანზე სარმატული
დროის პირველ ნახევარში ილექებოდა უდიდესი
ღისფერი თიხები, ხოლო სხვა ადგილებში ლითონ-
დენობით გროვდებოდა თიხები, ქვშაქვები, მერგელები
და კონგლომერატები.

სარმატული საუკუნის მეორე ნახევრიდან აუზის
სიღრმე თანდათან პატარავდება. საქართველოს ტერიტო-
რიაზე მრავალი კუნძული ამოიწია, ხოლო აჭარა-იმერე-
თის ქედი გაფართოვებას განიცდის; ასევე იზრდება თრი-
ალეთ-თელეთის მხარე; შუა სარმატის დასაწყისში ზოგ
უბანზე (მაგალითად დასავლეთ საქართველოს ჩრდილო
ნაწილში და სხვაგან) ზღვის გადმოსვლა ხდება და ძირი-
თადად თიხები კონგლომერატის იშვიათი შრეებით ილე-
ქება.

ზედა სარმატის დასაწყისიდან ზედა იხვეს როგორც
დასავლეთისაკენ, ისე აღმოსავლეთისაკენ. საქართველოს
დიდი ნაწილი ხმელეთს წარმოადგენს, ხოლო მცირე
სიღრმის მქონე ზღვისებრი აუზები დგას გურიამი,
ქართლ-კახეთის და აფხაზეთის ცალკეულ უბნებზე; უნ-
და ვივარაუდოთ, რომ ზედა სარმატის დროინდელი შე-
დარებით მეტი სიღრმის ზღვიური აუზი გავრცელებუ-
ლია სამხრეთ კახეთის ზოგიერთ უბანზე, სადაც უმთავ-



საქართველოს მიოცენურ ზღეხში მოხიზნულ მცირე ზომის ფორამინიფერები (გადიდებული რამდენიმე ათწლეული)

რესად თიხები ილექებოდა, ხოლო ზოგ უბანზე—კონტინენტალური წარმოშობის თიხნარები და კონკლემენტები. ეს უბანასკნელები დაკავშირებული იყო იმ „ტბისებრ“ აუზთან, რომელიც ზედა სარმატის დროს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ უბანზე იყო გავრცელებული. ამავე დროს საქაოლ ფართო კუნძულების სახით გამოიშვლებოდა ყველა ის ხმელეთი, რომლებიც მთოცენის დასაწყისში არსებობდა და ზემოთ უკვე იყო ჩამოთვლილი.

სარმატულ საუბუნეში, ისევე როგორც წინა პერიოდებში, ზღიერები აუზი ფართოდაა გავრცელებული კავკასიის ტერიტორიაზე და ჯერ კიდევ ცალკე გამოყოფილი არაა შავი, კასპიისა და აზოვის ზღეხები. ეს ფართო, ძვედა და შუა სარმატული, აუზები ირგვლივ უფროსი მთლიანად კავკასიონის ქედს. აღმოსავლეთით იგი შორს არ გრცელდება კასპიის იქითა მხარის ტერიტორიაზე, ხოლო დასავლეთით აუზი ფართოდ გადის რუმინეთის მიმართულებით.

ზედა სარმატულ დროში აუზის გავრცელების ფართობი ძლიერ შემცირებულია, ისაზღვრება მხოლოდ კავკასია-აირონიით და სტამბულის არსებული ძლიერ ვიწრო სრულეთი უფროდგა ხმელთაშუა ზღვის ფარგლებში მდებარე აუზს. საქართველოს ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს წყალგამყოფ დიდ ხმელეთს, რომელიც კოლხეთის ზედა სარმატულ აუზს აღმოსავლეთ საქართველოს ზედა სარმატულ ზღვისაგან აცალკევებდა.

სარმატის ბოლოს აუზის მოხაზულობის ასე მკაფიო შეცვლა, უმკველია, მასში ორგანული სამყაროს არსებობის პირობებზედაც მოახდენდა გავლენას. ამიტომაც, რომ ძვედა და შუა სარმატისდროინდელი მდიდარი ფაუნა და ფლორა მკვეთრად განსხვავდებოდნენ ზედა სარ-

მატის შედარებით გაღარიბებული ფლორა-ფაუნა-საგან. ფაუნაში სკარბობს მტკნარი წყლებში მცხოვრებ, ხოლო მცენარეულობის გავრცელების თავისებურებების მიხედვით, საერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორია შეიძლება დაეაწყოლით ხუთ დიდ უბანად, რომლებიც ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული მცენარეული საფარი და საერთოდ თავისებური ლანდშაფტით ხასიათდება. ეს უბნებია: კოლხეთის ტერიტორია — მისი დამახასიათებელია ტენიანი ტროპიკული ტყე მარადმწვანე მცენარეულობით; აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილი — გავრცელებულია საფანები; მის სამხრეთით, ბორჩალოს მხარეზე და ყარაბაღში, — ტყე მარადმწვანე მცენარეული; კავკასიონის სამხრეთი ფერდობის აღმოსავლეთი ნაწილი — სკარბობს ფოთლებიან მცენარეულობა; ფერდობის დასავლეთი ნაწილი — ტროპიკული ტყე; კავკასიონის ცენტრალური ნაწილი — ალპური ზოლის მცენარეობა და ა. შ.

ამ მდიდარი ტყის მასივებში უთუოდ მრავალი სხვადასხვა სახის ცხოველები და ფრინველი ბინადრობდა და არსებობისათვის ებრძოდა ერთმანეთს. ცხოველების საერთოდ კავკასიაში და ალბათ საქართველოს ზოგ უბანზეც გავრცელებული იყო ჰიპარიონები (ტენისმაგვარი), მარტორქები, ანტილოპები, ხორთუმიანი ცხოველების წარმომადგენლები, მაიმუნები და სხვ. მაიმუნების გვუფიქრება საინტერესოა მთოცენის ბოლოს საქართველოში მცხოვრები ადამიანისმაგვარი მაიმუნი — უდაბნოპირები, რომელთა ნაშთები ნაპოვნი სამხრეთ კახეთში, გარეჯის მონასტერთან ახლოს და დოდის მთის ფერდობზე.

ყველა ეს ცხოველი მოწმე იყო იმ ძლიერი ვულკანური ამოფრქვევებისა, რომლებიც სარმატის დროს ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში ხდებოდა.

სარმატის დამთავრებისას ადგილი ჰქონდა მათათა წარმოშობა ძლიერ მოძრაობებს, რამაც გამოიწვია გეოგრაფიული მოხაზულობის მკვეთრი შეცვლა. საერთოდ კავკასიაში და, რასაკვირვებელია, საქართველოს ტერიტორიაზედაც. დადგა პლიოცენური დრო.

საქართველოს მიოცენური ნალექები მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრით. ასე, მაგალითად, აირი და ნავთობი — სამხრეთ კახეთში, სამგორში, გურიასა და სამეგრელო-ფხაზეთში, აგრონიონი მადანი „ნტკილი“ — სამეგრელოში; მურა ნახშირი — კახეთში, სამეგრელოსა და ფხაზეთში; საშენი ქვები — თითქმის ყველგან, სადაც შუა მიოცენის ნალექებია გავრცელებული და ა. შ. ამ სიმდიდრეების ნაწილი უკვე გამოყენებულია სოციალისტურ მშენებლობაში, ხოლო მათი დიდი ნაწილის ძებნა-ძიებისათვის ამჟამად ფართო მასშტაბითაა გაშლილი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები.

ცხოვრები და აზიზი



ველთაგანვე ბუნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული აღმართის პრაქტიკული სპორტული მოთხოვნილება ამინდის ცვლილების წინასწარ შეტყობას. ერთ-ერთი წყაროს ასეთი შეტყობისათვის წარმოდგენილია როგორც ზინური, ისე გარეული ცხოველები.

მართალია, ამინდის შეცვლა სათანადო ასახვას ბოლოებს ცხოველებში, გაუგონად ახდენს მათი ქცევის ნიშნებს. დროთა განმავლობაში დაგროვდა მრავალი ხალხური თქმა, რომლებიც ცხოველთა ქცევებზე აღმართის უშუალო დაკვირვების შედეგს წარმოადგენს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოველებს გაანიათ ერთგვარი უნარი — წინასწარ იგებონ ამინდის უწინმეტყველო ცვლილებები კი და თავისი ქცევით გამოხატონ იგი. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ცხოველებს უნდა გაჩნდეთ განსაკუთრებული გრძნობა, ე. წ. ამინდის გრძნობა, რომელიც აღმართებს არა აქვთ. არსებული ხალხური დაკვირვებების მიხედვით, თუ ცუდი ამინდის წინ საღამოს სიქონელი ხარბად ჰამს ბალებს, მაშინ მთავრად დღეს წვიმას უნდა გელოდო, ხოლო, თუ ქაანქველში ბუდები იმალდებიან, მოსალოდნელია ძლიერი წვიმა ან ქვეაქვების დღე ა. შ.

მაგრამ არსებული ხალხური თქმანი მინათობს და გარეული ცხოველებს ქცევით ამინდის წინასწარმეტყველების შესახებ ყოველთვის როდეს მიათვლებდა. კემირი, რომელიც ამ ხალხური თქმების მიხედვით არსებობს ცხოველის ამა თუ იმ ქცევისა და ამინდის მოსალოდნელ ცვლილებას შორის, ძალზე ხშირად ხელოვნური. მაგალითად, ხალხური თქმით ყვავების ჩხავილი მოსვლის მოსაწყევებს, ბაყის მოკლა — წვიმას, თუ ძალი ბაღს ჰამს, წვიმა მოვა ა. შ.

მეცნიერული დაკვირვებებით დადასტურდა, რომ არავითარი კავშირი არ არსებობს ყვავების ჩხავილი და ხეცვებს შორის, ბაყის მოკლა და წვიმის მოსვლას შორის, ამ ძალის მიერ ბაღსის შეკმასა და წვიმის მოსვლას შორის. სხვათა შორის, ბაღს ზოგჯერ კატე ქამს, მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში ბაღის ქამს დაკვირვებული ღებნიდან იტანა. ეს უკანასკნელი კი როგორც ძალის, ისე კატისათვის ბიოლოგიურად სავირო პროცესის როლს ასრულებს. მაგალითად, არსებული ხალხური თქმებიდან მხოლოდ ნაწილი მართლდება.

მაგრამ არის ხალხური დაკვირვებანი, რომლებიც საწილა ამინდის შესაძლო ცვლილების გასაგებად. ჩვენ ვხედავს უტრადლება სწორედ ასეთ დაკვირვებებზე შევამჩნიოთ.

ცნობილია, რომ გამოცდილი მშენებლები ამინდის ცვლილების (მაგალითად, წვიმის დაწყების) გასაგებად ცხვრის მატყლს ხელოვნურად ეხებოდნენ, თუ იგი რბილია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქაქუნი ტენიანობაში მოიმატა, რაც ამინდის გუარჯისების ნიშანია. ცხვრის მატყლი ჰიეროსიკოელია, ე. წ. მას აქვს უნარი ჰაერში არსებული ტენი შეიწოვოს და რბილი გახდეს. ეს კარგად იცინა მეტეოროგმა და მატყლის ამ თვისების ცოდნას იყენებენ ამინდის ცვლილების გასაგებად.

გაღვიფრებენ, რომ ერთხელ დიდი ინგლისელი მეცნიერი ისაკ ნიუტონი სისინიონად გავიყრა. იდეა ნათელი, მშანი ამინდი. ნიუტონმა ნაუზა ნათელი მწყემსი, რომელიც ცხვრის ათეობად. მწყემსმა ნიუტონს ურჩია უკან დაბრუნებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წვიმა დასცემდა. ნიუტონი მწყემსის ამ გადრთხილობას სიცილით შეხედა და გზა განაგრძო. ყნობი საათიკ არ იყო გასული, რომ ნიუტონი დაბრუნდა: კოცისპირულ წვიმის იგი მოიკა დაეცა. ა. ისაკი მოვიდა იმავე მწყემსთან და ქნობა, თუ როგორ გაიგო მან წინასწარ წვიმის მოსალოდნელი. მწყემსმა უპასუხა, რომ მოსალოდნელი ამინდს იგი მისი ცხვრის საშუალებით იგებდა.

ნამდვილად „ცოცხალ ბარიმეტრებს“ წარმოადგენენ ჰატარა მწყერები — ქიშქრები, რომლებითაც იყვებობან ღმერთები, მერცხლები. ამ მწყერების სხეულის საფუძველი და ფრთები ადვილად ითვისებენ ტენს ჰაერიდან და თვით მწყერებიც უფრო მძიმე ხდებიან. ამის გამო ისინი აზარანმალურად გრძნობენ თავს და ცდილობენ განთავისუფლდნენ სიმძიმის გრძნობისაგან. ვიდრე ჰაერი მშრალია, მწყერებიც მალე ფრენენ, მაგრამ წვიმისამინდის ან ამინდის ცვლილება იწყება ტენის მომატება და წნევის შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, ჰაერის ზედა ფენებში. ამის გამო მწყერები ვეშებიან დაბლა, მიწის ზედაპირთან ახლო, სადაც ჰაერი ჭარ კიდევ მშრალია. თუ ჰაერის ტენიანობა დიდია, მწყერები ბალახებში, ფოთლებქვეშ იმალდებიან. ამ ჰატარა ზომის მწყერების ფრენის სიმაღლის შეცვლითავე ერთად კი იცვლება მკვეთრი ცხოველების ქცევების, ღმერთების, ნიროც, მაგალითად, ღმერთები ამ დროს წყვეტენ ნიღბობას, ხოლო მერცხლები ძალზე დაბლა შეშებიან (მწყისთან ან წელის ზედაპირთან ახლოს). მერცხლებზე ზოგჯერ სწრაფი ჩაქრობებისას ამ ზედაპირის ფრთით ვეშებიან.

ამინდის წინასწარმეტყველებს — მივეთვინებთ იობები, ვასაკები (ისი ბაყავი), წერბელები, ზოგიერთი ხოჭო, თხუნელები და სხვ.

ელსანიშნავია სახლის იობა, რომლისთვისაც მთავარია „ეკონომიკური“ ხატრის აბლაბუდის (ქსელის) შემქმნელი ნივთიერება და არ დაქსელის მოსალოდნელი უამინდობის დროს. იობების ქცევებზე დაკვირვებებით შემდეგი დადგინდა:

თუ იობების ზანტები და უმოქმედონ არიან, ე. წ. არ ზრუნავენ ქსელის შეკეთებაზე, მაშინ მოსალოდნელია ცუდი ამინდი; თუ იობები ღია ცის ქვეშ ბუთიად ქსელავენ აბლაბუდის და აბაყენ გრძელ მაცვას, ამ აბაყენ გრძელადი აბლაბუდის შეკეთებას, უნდა მოველოდოთ კარგ ამინდს ა. შ.

ვასაკი კარგი ამინდის დროს ის ფოთლებშია და იქ იყვებან მწყერებით, ხოლო ზანტმეობი უამინდობისს ვეშება წყალში. ჩრება მშენი. ჩაატარებს ასეთი ცეცხ: ტერაბრუმე მოათავსებს ვასაკა და იმედნენი მამალი ვასაკის ბეგრებს. ბეგრები იყო მშამალი და წააგვდა ავირობს. როგორც დიქრობენ, ვასაკების ყვირილი უნდა მოსალოდნელს ნალექს უახლოეს დღეებში.

სანდტრისოა წერბელების მოქმედება ამინდის მოსალოდნელ შეცვლასთან დაკავშირებით. მინის ქილაში ათავსებენ სამედიცინო წერბელებს. ჭურჭლის ფსკერზე ქვიშას ყრიან. წყალი ქილაში ნახევარმდევ. შენიშნულია, რომ ზაფხულისთვის, ქვეაქვალის დაწყებამდე, წერბელები გაძლიერებულად მოძრაობენ, იცალებიან ან ეცვრიან ქილის ქვედა ნაწილს. კარგი, ნათელი ამინდის წინ წერბელები მშვიდად არიან ქილის ქვედაზე მიკრული, წყლიდან ნაწილობრივ ამოწეული ა. შ.

ზოგიერთ ქვეყანაში ამინდის ბოერი თოლოებით ისე სარგებლობს, როგორც ბარიმეტრით. თუ, მაგალითად, თოლოები მშველეთიდან მრეკივენ ჰაერისნაყენ, წყნარ ამინდს ელოდებიან, ხოლო, თუ პირიქით — ქაქონმაღს.

ზოგჯერ ამბობენ, რომ, თუ თხუნელები მიწის მაღალ გროვებს აყვებენ, მაშინ წვიმას უნდა ელოდოთ. დიდი და მრავალრიცხოვანი მიწის გორაკები მოსწყვებს თოლოების გაძლიერებულ მოქმედებას. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ იმ ფენებში, სადაც თხუნელები „ნადირობენ“, უკუდაა მატყლები და ზღისპირული ფორები, რომლებშიც მშრალი ამინდში ნიადაგის ზედაპირთან ახლო ფენებში არიან, უამინდობის შემთხვევაში კი თავდასაცადი უფრო ღრმად ჩაიდან ნიადაგში.



პორტატიული რელსაპრემი ჩარხი

როგორც ურნალი „რელიევი გაზეტ“ იუწყება, ამერიკულმა ფირმამ „ელექტროპ“ შექმნა პორტატიული რელსაპრემი ჩარხი, რომელიც გზაში მძიმე ტიპის რელსებს ქრის ერთი წუთის განმავლობაში. იგი გამოიყენება აგრეთვე ძველი ვარჯის რელსების მოსაშენებლად შედუღებისათვის და ისრის გადასაყვანის დასაგებად.

ჩარხს ემსახურება ერთი კაცი, იგი აღჭურვილია აუცილებელი დამცავი საშუალებებით.



ბეგით, სპრელი აბრაზიული დისკო, მისი დამატებითი, დამონტაჟებულია ბურთულსა-კისარებზე და მოძრაობაში მოდის 24 ცხ. ძ. სიმძლავრის ოთხტაქტიანი ძრავით. წვლას ან შეთვის გაგრძელებას იგი არ საჭიროებს. ვიბრატორი მექანიკური ამძრავით, რომელიც გადაადგილებს დისკოს 12,7 მმ-ით მის ღერძთან შეუარებლად, დისკოს იცავს რკვევითა-დან.

მატარებელის ავტომატური მართვა

ამერიკულმა ურნალმა „რელიევი ეიჯ“ მოათავსა სტატია ავტომატური მატარებლის გამოცდების შესახებ ნიუ-იორკის მიწისქვეშა რკინიგზაზე. ასეთი მატარებელი, შემდგომი სამი გაგონისაზე, იცდებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში 822 მ სიგრძის მიწისქვეშა რკინიგზის უბანზე.

მოძრაობის მართვა მატარებლისა, რომელიც დადიოდა ორ სადგურს შორის, ხორციელდება 100 ჰერცი სიხშირის ცვლადი დენით, რომელიც კოდირდება სხვადასხვა-

გვარად გზის სხვადასხვა უბანზე. როცა მატარებელი იმყოფება პირველ სადგურზე, მეორე სადგურის მოწყობილობა რელსების მეშვეობით გზავნის დენს 270 კილოთ (270 მილიუსი წუთში 100 ჰერცი სიხშირის დროს). მიიღებს რა კოდს, სააოვ ვაკონის მიხედვით მოწყობილობა ჩართავს ხელსაწყოს, რომელსაც მოძრაობაში მოყავს მატარებელი. საათში 47 კმ სიჩქარის მიღწევისას მატარებელი განავადებს მოძრაობას იმავე სიჩქარით.

მეორე სადგურიდან განსაზღვრულ მანძილზე მატარებელი გადის გზის ორგანო-ბულ უბანს. აქ იგი დებულობს კოდს — 180, რის შემდეგაც სვლას აწეფებს დახლოებათ 8 კმ/საათამდე. შემდეგ მატარებელი გადის მომდევნო ორგანო-ბულ უბანს, სადაც დებულობს კოდს — 0, და ჩერდება მოცუ-ფულ წერტილთან 1,5 მ წვდარზე. მატარებ-ლის გაჩერების შემდეგ დენი კადით — 75 მიეწოდება გადართვის მართვით, რომელიც რელსებს შორის დებს. ამ დროს იღება ვა-კონის კარგი. სააოვ სასიგნალო ჩრად-დენები იცვლება უკანებით, ზოლო უკანები — სააოვით. იცვლება აგრეთვე დანიშნულების პუნქტის სახელწოდებაც. შემდეგ მეორე სადგურზე ავტომატურ სადგომებზე მო-წყობილობას მოძრაობაში მოყავს ხელსაწყო-ები, რომელთაც კარების გაღებთან ერთი წუთის შემდეგ გამოირავს კოდს — 75, რის შემდეგაც იკეტება კარები და გამოირა-ვება მუხრულები. პირველ სადგურზე არსე-ფული მოწყობილობა რელსებით უშვებს დენს კადით — 270, რომელსაც დებულობს სა-აოვ ვაკონზე დიდგმული მიმღებები (აგრ-ეთვე იგი იყო ბოლისი). მატარებელი უშვებს სვლას საათში 47 მ-ის სიჩქარით, რომლი-თაც პრუნდება პირველ სადგურზე.

თავდაპირველი გამოცდები უკვე დამოა-

მოქნილი ლილი პარდანული ნაცვალე

ინგლისში საშემოდგომო საავტომობილო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მსუბუქი მანქანა პონტიაკ ტემპესტიკი (რაც „კარა-შ-ხალს“ ნიშნავს), 1961 წლის ნიშნით. მისი ძრავა, რომელიც წუთში 4800 ბრუნის დროს ავითარებს 160 ცხ. ძ.-ს, მოთავსებუ-ლია, როგორც ჩვეულებრივ, წინ, მაგრამ სიჩქარეთა კოლოფი მდებარეობს უკანა



ხიდან და ერთ მთლიანს წარმოადგენს ლი-ფერებულ ძრავას. ძრავა გადაცემათა კოლოფ-ის მეშვეობითაა მოქნილი ლილით. იმის გამო, რომ ლილი გადაცემათა კოლოფის წინაა, მისი ბრუნვის სიჩქარე დიდია, ზო-

რბეულია. საიმედოობაზე გააოცდნენ შეიქო-პს მატარებლის უწყვეტ ავტომატურ მართ-ვა. გარდა ამისა, ინგლისში ეს მანქანა-ს-დგომ კოდების ცვლის წერტილების ხელ-საყრედი განლაგების ადგილებზე სადგურებს შორის მოძრაობის მინიმალური დროის უ-პრუნველობისათვის.

მიიღო მოწყობილობა აღჭურვილია ავარი-ის საწინააღმდეგო მოწყობილობებით. თუ მოხდება რამე გაუთვალისწინებელი მატარებლის მოძრაობის დროს, მაგალითად, სი-ჩქარის მატების-მეტი გადდება, საკომუნსაციო მოწყობილობა ამცირებს მას ნორმალურ სიდიდემდე. სარგებელირებელი მოწყობი-ლობის მოძრაობის გრძელვადიან დაცვას. ასე, მაგალითად, თუ მანქანა 10 წმით აუფენებს კარების დაკეტვას ერთ რომელიმე სადგურ-ზე, მომდევნო გაჩერების ხანგრძლივობა შე-საბამისად მცირდება.

წყალქვეშა მცურავი გვირაზი

ერთმა იტალიელმა ინჟინერმა წინადადებ-ა წაოყენა წყალქვეშა მცურავი გვირაზის აგების შესახებ.

გვირაზის ფოლის მიღს არქიმედის კა-ნონის მიხედვით განსაზღვრულ სიმაღლეზე გაჩერებს წყლის ზემოქმედება. გვირაზი გაჩერებულია კალაბრიის მდინარის სუ-ძულ სიცილიის ნახსადგური შესაერთებ-ლად.

ლო მბრუნავი მომენტი — ნაყლები, ვიდრე იგი მის უკან რომ უფიფიფიო მოთავსე-ფული. ეს გარემოება ლილის მოქნილობა-სთან ერთად საშუალებას იძლევა იგი დამ-ზადდეს ჩვეულებრივ კარდანის ლილითან მედარებით მეგრად უფრო ოხედვი. მა-გრამი შეადგენს სულ 15 მმ-მდე, დანა-როცა, მაგალითად, „მოსკვისი“ უფელო მო-

დელში იგი 76 მმ-ის ტოლია, თუმცა ამ მცირედიტრატიათა მანქანის სიმაღლეზე 7-ჯერ ნაყლები იყო, ვიდრე „იტემესტისა“. ლილი ბრუნავს მოქნილ მილით, ამასთან რკალის ამონაწევი მიმართულია ქვემოთ.



ახლო სისტემას მცირე უპირატესობა რო-
დი აქვს ჩვეულებრივთან შედარებით. მო-
დურული ლიფტი გადის არა მარას გავლით,
არამედ მის ქვეშით და მგზავრების ად-
გილს არ ეკავებს. ლიფტის მოქნილობამ
შესაძლებლობა შექმნა სავსებით უარყო-
ფადი კარდანი (კუთხოვანი სახსარი).
მოაგზაოებს ის, რომ თბილისში სრულიად
უფრო ნაღებდაა მიდრეკილი ვიზრაცია-
სადმი, ვიდრე ხისტი.

სამარჯვო საკინიზო გავრნვის დასაბმირთაღ

დასავლეთ გერმანული ფურნალი „იუნ-
განიზონი“ იუნეზა, რომ გერმანიის ფე-
დერაციულ რესპუბლიკაში სრულით, ქვეშით
და სხვა საშენი მასალებით სარკინოვო შე-
მაღვნილობის დატვირთვისათვის გამოი-
ყენება სპეციალური მოწყობილობა. იგი
შედეგა 12 გამოსაწევი ლენტური კონვეი-
ერისაგან, რომლებიც მოთავსებულია საკი-
ნოვო ვაგონზე (ნახ. 1).

ერთი კონვეიერი დამატებულია ვაგონის
ზედზე და მკვებავ წარმოადგენს დანარჩენ
12 გამოსაწევი კონვეიერის წრედისათვის.
ზედა კონვეიერი ღებულობს ტვირთს, რო-
მელიც მოიტანა ავტომობილმა, და გადაად-
გილებს კონვეიერულ ხაზზე (ნახ. 2). ამ მო-
წყობილობით შეიძლება დატვირთვის 90 მ




ნახ. 1

სიგრძის ცარიელი ვაგონების შემაღვნილობა.
დატვირთვა იუნეზა სათავო ვაგონიდან, რის-
თვისაც სპეციალური ელექტროკალმბარით
გამოიწევა მთელი კონვეიერული ხაზი სრულ
სიგრძეზე. ვაგონის დატვირთვის შემდეგ
ლენტური კონვეიერის თავისუფალი სეკცია
გამოყოფდა ხარკო კონვეიერულ ხაზს და
იწეზა მისთვის განკუთვნილ ადგილზე. ეს
პროცესი ზორციელდება სპეციალური სა-
მარჯვის მეშვეობით ხაზის დანარჩენი კონ-
ვეიერების მუშაობის გაუფრებლად.

ღონელები 45 კტ სიმძლავრის გენერა-
ტორებით, დამონტაჟებული იმავე ვაგონში,
დენით უზრუნველყოფს ცალკეული ლენტუ-
რი კონვეიერის ელექტრომარაგებს. კონვეი-
ერების ელექტრომარაგები ავტომატურად ირ-
თეზა მკაცრი თანმიმდევრობით.

დატვირთვის დამთავრების შემდეგ კონვე-
იერებთან ერთად ვაგონში მოძრავე რელსებით
და კონვეიერული ჩარჩოების სადგარები იწე-
ზა ისე, რომ მთელი კონვეიერული ხაზი
100 მ სიგრძის ყველა დეტალზე მდლიანდ



ნახ. 2

თავსდება ვაგონში (ვაგონის სიგრძეა 12 მ).
კონვეიერული ხაზის ცალკეული გამოსაწე-
ვი სეკციის სიგრძეა 7,5 და 10 მ, კონვეი-
ერული ხაზის სიგრძე — 500 მმ; ლენტის
მოძრაობის სიჩქარეა 2,1 მ/წმ. თითოეული
რკინის ელექტრომარაგის სიმძლავრე 3
კვ. ძ.

პირველი მოძრავე ტროტუარი აზიანში

აიპონიის ერთ-ერთი მხვილი ქალაქის
ვაგლისათვის იგება 1 კმ სიგრძის მოძრავე
ტროტუარი. იგი პირველია აზიაში და, რო-
გორც ჩანს, ყველაზე გრძელი იქნება მსოფ-
ლიოში. „აიპონიის ტრანსპორტი“ და-
იუნეზა უშუალოდ ზაქანზე. მისი მეშვეობით
აიპონიანთა მატარებლის მოსვლიდან 4-5
წუთის შემდეგ ყველა მგზავრი თავიანთი
ზარკით გამოყვანილი იქნება ვაგლის ფარ-
გლებიდან საქალკო ტრანსპორტის თავ-
ნიურის ადგილზე.

მოძრაობს რა წუთში 30 მ სიჩქარით,
ტროტუარი საშუალებას იძლევა ადვილად
იღვებს ადამიანი ფეხზე და ასევე იოლად
ჩამოვიდეს იგი გზის ბოლოს ან ნებისმიერ
ადგილზე. მას შეუძლია ერთი საათის გა-
მავლობაში მოემსახუროს 15 ათასამდე კაცს.
მოძრავე ტროტუარის პირველი უბანი (300
მ სიგრძემდე) უკვე მზადაა საედლო ექს-
პლუატაციისათვის.

სიხალიზაციო გამა- სიხვების გამოყენებით


ამერიკულმა ფურნალმა „სიხვის დივიზი“
გამოაქვეყნა შენიშვნა, რომ აიპონიანთა ფირ-
მა „კობე ინდასტრიალ კომპანი“ დამუშავა
სარკინოვო სიხალიზაციის სისტემა გამა-
სიხვების გამოყენებით.

გამასიხვის წყარო იღებოდა ვაგონზე,
ხოლო გამასიხვის დეტალები განლა-
გდება სხვადასხვა სასიხალი მუნქებზე რკი-
ნოვოს ხაზის გასწვრივ. როცა ვაგონი გადის
დეტალებზე, ისინი დაგვნივანენ გამა-
სიხვების და მოძრაობაში მოყავთ შესაბამი
სიხალიზა აპარატურა.

ასევე სისტემა, ფირმის განცხადებით,
მნიშვნელოვანად იაფაა ჩვეულებრივ სიხალი-
ზა მოწყობილობასთან შედარებით.

ახალი საკინიზო გავრნვის სისტემა

როგორც ინჟინერი ფურნალი „მეკინი-
კელ პანდლინგ“ იუნეზა, საწყობის შენი-
ზის ყველა საჩივრულ ვაგონების გადმოტ-
ვითა-დატვირთვისათვის ავტომატულმა
ფირმამ „ოსტერ“ გამოიწევა 40-ტონიანი ამა-
წი, რომელსაც შეუძლია დატვირთული
პლატფორმები ასწიოს მეორე ან მესამე სა-
თულის სიმაღლეზე. ამწე მოძრაობაში მო-
დის 46 კვ. ძ სიმძლავრის ელექტრომარაგით,
რომლის მართვა ქვეშით წარმოებს. აწევა
ხდება ოთხ ჯგუფად შეკრებილი 16 ვაგონის
(დამატება 20 მმ) მეშვეობით, რომლებიც
მოთავსებულია კუთხოვანში. ასაწევი ვაგონი
შეივანება სპეციალურ პლატფორმაზე და
მარცხა ზუნდება. აწევისას ვაგონი ავ-
ტომატურად წარაცეხს დამცავი ჯაჭვები.



საქირო საჩივრულ პლატფორმის გაჩერებ-
ის იგი ავტომატურად ფიქსირდება საყრდ-
ენი ღვარებით.

აწევის ბოლოს პლატფორმის სიჩქარე
მცირდება 3-დან 1,5 მ/წმ-მდე, ისე, რომ
მცვერი ზიძგება გაჩერების დროს გამოიცე-
ხულია. შემდეგ პლატფორმა ეტრდნება ღვა-
რებს, რაც განტვირთავს ვაგონებს. ამწეს
შაბტი საჩივრულმა უკანმოვრდება სპეციალურ
კარკებით, რომლებიც ავტომატურად იყე-
ტება ელექტრული მექანიზმით. გათვალის-
წინებულია სპეციალური მოწყობილობა, რომ
მთელი ზუსტად აჩერებს ამწეს მოცემულ
საჩივრულზე. კარკები შეიძლება გაიღოს ამწეს
მხოლოდ ხრული გაჩერების შემდეგ.





საფეხვლოთად ცნობილია, თუ რა უდიდესი სპორტული და გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს ცურვას. ცურვის ტექნიკის შესწავლისათვის იქ, სადაც ბუნებრივი წყალსატევები არ არის, მიზანშეწონილია აიგოს ხელოვნური, 5-10 მ სიგრძისა და 2-5 მ სიგანის ასაწყობ-დასაშლელი აუზები.

1-ლ ნახ-ზე მოცემულია ასეთი ასაწყობ-დასაშლელი აუზი, რომელიც შეიძლება სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის „ფიზკულტსპორტსნაბ“-ის სამმართველოს სპორტინჟენტარის ცენტრალური ლაბორატორიის საპროექტო ბიუროს კოლექტივმა. აუზის სიგრძეა 6, სიგანე — 3 მ, წყლის სიღრმეა 1 მ-მდე.

ასაწყობ-დასაშლელი აუზი შედგება დასაშლელი ლითონური ჩონჩხედისა (იგი დამზადებულია ლითონის მილებისაგან) და გარეზნული ქსოვილის ჩალითაგან. აუზის კომპლექტში შედის 137,5 სმ სიგრძის ოთხი კუთხისა და 149 სმ სიგრძის ორი შუა დგარი, 292 სმ სიგრძისა და 90 სმ სიმაღლის ექვსი შედგენილი ლარტკა (ოთხი გვერდისა და ორი ტრასული კედლებისათვის), ორმოცდარვა ფიქსატორი ჩონჩხედის გუემენტების დასამაგრებლად, ჩალითა გარეზნული ქსოვილისაგან და კბე (ნახ. 2).

მე-3 ნახ-ზე წარმოდგენილია აუზის კედლების ცალკეული დეტალები. შუალედური დგარი (1) იდგება განივი გადამის (8) შევრილზე. მოლარტკეის (2) პორიზონტალური მილები ექმება ღეროებზე (5), რომლებიც დგარებთანაა მიდულდებული და მაგრდება ფიქსატორებით (6). ჩალითა ყუნწში ყვრება ზედა შემაერთებელი მილები (3), რომლებიც ლაგდება დგარებთან მიდულდებულ ღარში (7), და აგრეთვე მაგრდება ფიქსატორებით. დგარების ზედა ნაწილში იდგება ღეროები განივი კაღონით (9).

ზედა შემაერთებელი მილების დეტალები კუთხის დგართან დამაგრებულია შემდგენიარად (ნახ. 4): კუთხის დგართან მიდულდება ლითონური ღარი (3) ხერტებით (4) კომპენსატორებისათვის. შემაერთებელი მილები (2) ლაგდება ღარში და მაგრდება კომპენსატორებით.

აუზის რეზერვუარი (ნახ. 5) მზადდება 584×884 სმ ზომის გარეზნული ქსოვილისაგან. კალთის ბოლოებში კეთდება მარყუქები, რომლებშიც იდგება ზედა შემაერთებელი მილები. ნაწიბური, რომელიც წარმოშობს მარყუქს, მიეწებება კალთას და მკვიდრად მიეკერება. ტევაღობა წყლისათვის წარმოიქმნება კალთის დაკეცილობა და მისი ჩამოკიდებით ზედა შემაერთებელ მილებთან. ჩალითა კუთხეები ჩაიდება კონვერტის სახით და მიეწებება რეზერვუარის კედლებს.

აუზის აწყობის წინ აუცილებელია 4×7 მ ზომის წინასწარ გულდასმით გაქმენილი, დატკეპილი და

მოსწორებული მოედნის მომზადება. მოედანზე დაიგება გაშლილი ჩალითა, რაზედაც შემდეგ ჩონჩხედის აწყობა წარმოებს. განივი გადამის, ვერტიკალური დგარების, მოლარტკეის და ზედა განივი კაღონის დადგმის შემდეგ ჩალითა მარყუქში იდგება შემაერთებელი მილები, რომლებიც ჩაიწყობა ჩონჩხედის შუა და კუთხის დგარების ღარში. ფიქსატორებით ყველა შეერთების დამაგრებისა და აუზის მდგრადობის შემოწმების შემდეგ იგი ივსება წყლით წყალსადენიდან ან უახლოესი წყალსატევიდან უბრალო ტუმბოების დახმარებით (შთანთქმეთა რაოდენობაზე დამოკიდებულებით საჭიროა დღეში 2-3 ჯერ წყლის ქლორირება).

გადასმულია აუზის აწყობისას საჭიროა მისი ცალკეული კვანძების დადგმის დიდი სისუსტე. აწყობის წინ ჩონჩხედის ყველა დეტალი გულდასმით უნდა იქნეს დაცული მოცურავისათვის სახიფათო ხიწყის ან მჭრელი კილისაგან. აუზის აწყობის შემდეგ ჩონჩხედი იდგება ნიტროამინაქჩის ან სხვა წყალმდევი საღებავით.

ასაწყობ-დასაშლელი აუზი შეიძლება გაკეთდეს ალგილობრევი მასალის გამოყენებითაც; მაგალითად, ჩონჩხედის სახით შეიძლება გამოიყენონ მიწში ჩაფლული ხის ბოძები ან ყოველგვარი სხვა მოწყობილობა, რომელზედაც ჩამოიკიდება ტევაღობა წყლისათვის წყალაუმტარი მასალისაგან. ასეთი აუზი შეიძლება აიგოს ყოველ დასახლებულ პუნქტში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ და პიონერულ ბანაკებში და გამოიყენება არა მარტო სპორტული მიზნებისათვის, არამედ ხანძრის ჩასაქრობად და ბაღებისა და ბოსტნების მოსარწყავად.

ნახ. 1. დასაშლელი აუზის საერთო ხედი: 1—კუთხის დგარი, 2—შუალედური დგარი, 3—მოლარტკეა, 4—კაღონი, 5—ჩალითა, 6—კბე

ნახ. 2. კბე
ნახ. 3. კედლების მოწყობილობის დეტალები: 1—შუალედური დგარი, 2—მოლარტკეა, 3—შემაერთებელი მილი, 4—ჩალითა, 5—ღეროები მილებისაგან, 6—ფიქსატორი, 7—ღარი, 8—განივი გადამი, 9—კაღონი








ნახ. 4. კუთხის დგარის დეტალები: 1—კუთხის დგარი, 2—შემაერთებელი მილი, 3—ღარი, 4—ხერტი ფიქსატორისათვის (დიამეტრი 10-12 მმ)

ნახ. 5. რეზერვუარი დასაშლელი აუზისათვის გარეზნული ქსოვილისაგან: 1—კალთის გადართვის ადგილი, 2—შემაერთებელი მარყუქების მოსაწყობად, 3—გასასვლელი მილი (დიამეტრი 5 სმ)



საქართველოს
საგანმანათლებლო
ცენტრი

საბუჩაო აუზი



საბუჩაო აუზი

გეგნიერებისა და გეგნიერის კეთილმოწყობა



* მიმდინარე წლის 17 (5) აგვისტოს შესრულდა 75 წელი დღი რუსი მეცნიერ-ქიმიკოსის ალექსანდრე მიხეილის ძე ბუტლეროვის გარდაცვალებიდან. იგი გეოქიმის მეცნიერთა იმ პლადისა, რომელთა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დაინიშნა აღმართა აზროვნებისა და ცოდნის ისტორიაში.

ა. ბუტლეროვი დაიბადა 1828 წლის 25 აგვისტოს ყაზანის გუბერნიის ქ. ჩისტობოლოში. იგი ორი კარისაგან არ იყო, დღემდე გარდაცვალებამდე მისი აღზრდა იესარის დედის ნათესავემ, სტრელცევმა. 8 წლის ალექსანდრე გეოქიმის ჯერ ყაზანის კერძო პანსიონში, ხოლო შემდეგ პირველ კლასიკურ გიმნაზიაში.

ა. ბუტლეროვი პატარაობიდანვე იყო გრძელვადი ბუნებისმეტყველებით. აგროგულა მიენიჭებინა და პეპლების კოლექციების შემოღობიერ სოფელში, ხოლო გიმნაზიაში სწავლისას დამოუკიდებლად ატარებდა ცდებს ქიმიკში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1844 წელს, იგი პირიქით ჩარჩოს სტრელცევი ყაზანის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მეორე განყოფილებაში, რომელიც შემდეგ გადაქცეულა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტად.

ბუნებისმეტყველებით გატაცებული სტრელცევი ხშირად აწყობდა შორეულ ექსპედიციებს. 1847 წლის ზაფხულში, ყირგიზეთში მოგზაურობის დროს, იგი ავად გახდა მუცლის ტიფით და უკრძნობ მდგომარეობაში მყოფი ჩამოიყვანეს სიბირეთში, სადაც და მოამხებულ იქნა მამიძის: აოქცნადრე გორკი, მაგრამ მისი მოვლის დროს ტიფმა მამიძის იმსვენებოდა.

ამის შემდეგ ბუტლეროვს უკვე იმდენად აღარ იტყვის ბოროტია და ზოლოფია, საზაგიეროდ ეუფლება ქიმიის მეცნიერებაში. ამ პერიოდში ყაზანის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქიმიკოსები, კარგი ექსპერიმენტატორები კ. კლუსის და ნ. ზინინი. ზინინის მიერ იქნა აღმოჩენილი ანილინი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ანილინის საღებავების წარმოებას; კ. კლუსმა კი აღმოაჩინა ელემენტარული რთონიები (რაც ლითონურად ნიშნავს რუსეთს). აქედან გასაყვამა, რომ მათი ხელმძღვანელობით ბუტლეროვი საუკეთესო მეცნიერ-ექსპერიმენტატორი უნდა გამოჩენიყო. ეს ასეც მოხდა. პირველი სამეცნიერო სამუშაოები ბუტლეროვმა კლუსისა და ზინინის ხელმძღვანელობით ჩაატარა.

1849 წელს ა. ბუტლეროვმა უნივერსიტეტი დამთავრა კანდიდატის ხარისხით. ხარისხი მან მიიღო ზოოლოგიაში თემისთვის „ურალის ფუნის დღის პეპლები“.

1850 წელს ა. ბუტლეროვს კ. კლუსის წინადადებით ტრევენ უნივერსიტეტში ქიმიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად. ამ ამბავს მევსლდა ცნობილი მათემატიკოსი ნ. ლობაჩევსკი და ირინასკი-მეტეველი მიხვან სასარგებლო მასწავლებლისა და ღირსეული მეცნიერის დავითმა.

ა. ბუტლეროვი 22 წლისა კი არ იყო, როცა პედაგოგიკურ მოღვაწეობას შეუდგა: ჯერ სამედიცინო ფაკულტეტზე კითხულობდა ფიზიკასა და ფიზიკურ გეოგრაფიას, ხოლო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე — აზროვნებულ ქიმიას.



1851 წელს იგი წარმატებით იცავს მაგისტრის დისერტაციის ნაშრომით „ორგანული ნაერთის დაგენივის შესახებ“.

1852 წელს კ. კლუსის ხელმძღვანელობით მან გამოქვეყნა პირველი ექსპერიმენტული ნაშრომი ორგანული ნაერთებზე ოსმონის მუცის დამზადებულ მიქმედების შესახებ.

